

ნიმალური



№ 18.

ქოველები ირეული ქურნალი

1907 წ.


შესანიშნავი სურათები და ქანდაკებანი.



ლამე, რენარის ნახტი.

გლოვის დარღვევი.

კაპიტალი, ინდუსტრია,
პროლეტარი, მარქსის დოგმა! უსრუ მუცე
მოვიდენ და მიქადაგეს...
გულს მომაწვა ბოლმა, ბოლმა...



ადამ და ევა, ბრეიერის ქნდეკი.

ილარი ვარ ამის მეტი;
რაში მინდა მათი დოგმა?..
მიწა მინდა!.. ის გამამა,
მე გამოლმა, მე გამოლმა!..

თოშა პუსა.

ჭარჩინებული ფარისებლობა.

ერთმა სახელგანთქმულმა შხატვარმა შემდეგი ღრმა-აზრიანი ცხოვრებიდან ამოღებული სურათი უძღვნა მოსკოვის მოძრავ გამოცენას, დახატულია კურთხევა სამღვდელოების მიერ ქალაქში ახლად გახსნილ სახაზინ არაყით საგაჭრო საწყობისა. ღარიბ და უსახლ-კარო იქსო ქრისტეს მოციქული, ოქრო—ვერცხლით შემოსილი მღვდელი, თავისი მხლებლებით და ადგილობრივი მსუქანი ვაჭრების დასწრებით, საცეცხლურით ხელში საქმეველს უკავებს არაყით სავსე ბოთლებით გატენილ შკაფებს; ყველა თავ-მოყრილ დამსწრეთ სახეზე ღრმა სასოება ატყვია.

ხსნებული მღვდელის მოვალეობა დღეს სახელ-მწიფო საბჭოში სახელ-განთქმულმა გრაფმა ვიტემ იკისრა. იმან ვრცელი სიტყვა უძღვნა რუსეთის იმპერიაში ხაზინის მიერ შემოღებულ არაყით ვაჭრობას, ცხარე მჭერმეტყველების საცეცხლურით საკმეველი უკმია მთავრობის ამ დიდებულ დვაწლს.

ამგვარად ნათლად გამოცხადდა ხალხის დაჩაგვრა დაბეჭავების საქმეში სასულიერო და საერო მთავრობის მოხელეთა მტკიცე თანხმობა. სასულიერო და საერო მთავრობანი მხოლოდ გარეგნულად, ხალხის მოსატყუუბლად თითქო სხვა-და-სხვა მიზანს ემსახურებიან. წინიდან რომ შეხედოთ სამღვდელო პირთა დიდებულ რაზმს, იგი მორჩილი ვეღრებით ცად თვალ-აპყრობილი დგას და ღმერთს ჩვენ ცოდვების მიტევებას სთხოვს. სასულიერო რაზმის უკან კი დგას მეორე აგრედვე დიადი რაზმი მთავრობის საერო მოხელეებისა, პირი სულ სხვა მხრისაკენა აქვს მიქცეული, თვალ-დაშვებული დედამიწასა და ზედ მოფუსფუსე ხალხს დაჲყურებს და თითქო ქვეყნის ერთგულ მართვა-გამგეობაზე მწარედ დაფიქრებულია.

გარედან თუ შეხედავთ სამღვდელო და საერო მოხელეთა რაზმებს, ისინი ცალ-ცალკე და სხვა-და სხვა მხრისაკენ მაცერალნი გჩვენებიან; მაგრამ საქმია გვერდიდან შემოუარათ და შიგნით მათ შეუ ჩაიხდოთ, რათა თვალ ცხადად დარწმუნდეთ, რომ ორივე რაზმი უკანიდან მცირდოდ კუდი კუდზე გადამბულია.

დაუბრუნდეთ ისევ სასიქაღულო გრაფ ვიტეს, მთავრობის ამ ერთგულ საერო მიტროპოლიტს; სახელმწიფო საბჭოში მჭერმეტყველობის დროს იმან კიდევ გამოიჩინა თვალი-ცხადად თავისი მიწიერ ზეციერი ორქოფობა.

სიმთვრალესთან ბრძოლა მთავრობას მთელ რუსეთში საჩივის გახსნით შეუძლიათ, ბძანა ბრწყინვალე გრაფმა. ნუ დავიშურებთ საჭირო ხარჯს ამ ჩაის სასმელ სახლების გასახსნელად, რადგან ეს

ხარჯი ისევ შევსებულ იქნება ჩვენი ფინანსური სისტემის წყალობათ, რომლის წინაშე მუხლებული რეკილი ვდგევარ: ეს შემოსავლის უკავებული შაქარზე დაწესებული აქციზი და ჩაიზე საბაჟო გადასახადი. ამასთანავე, დასძინა გრაფმა ვიტემ, დიდ სარგებლობას მოუტანს ხალხს საეკკლესიო გალობის გავრცელება-განვითარება, რის მაგალითი უკვე აჩვენა რუსეთს პერმის სამზრუნველო საზოგადოებამც.

ნუ თუ პირდაპირ ცხვირში არა გცემთ, მკითხველო, ამ სიტყვებიდან გამომდინარე წარჩინებული ფარისევლობის მყრალი ოხშივარი. მთელი რუსეთის ხალხი სულითა და ხორცით იხრწნება არაყითა და სიმთვრალის გამო და ამ არაყით მოვაჭრე რუსეთის უმრავლეს გუბერნიაში დღეს ჩვენი მიავრობა გახლავთ. იქ ყველგან მოფენილია არაყით საგაჭრო სახაზინ საწყობები. ხაზინის მიერ არაყით ვაჭრობის შემოღება ალექსანდრე მესამეს მეფობის დროს გრაფ ვიტეს თაოსნობით მოხდა და დღეს ეს ბრწყინვალე გვამი წელებზე ფეხს იდგამს, რათა ქვეყანას დაანახვოს, რომ არაყით მოვაჭრე მთავრობა ხალხის სულიერ ბეღნიერებაზე ფიქრობს, ლოთობის საწინააღმდეგო ჩაის სასმელ სახლებს უხსნის, ჩაისა და შაქარს ბაქს შემდეგ იმავე ღარიბ ხალხს ზურგზე აძრობს და ხალხში საეკკლესიო გალობის გავრცელებაზე ზრუნავს.

არაყით მოვაჭრე და ამავე დროს ხალხის სულიერ ამაღლებაზე მზრუნველი გრაფი, ჩემის აზრით, ემზგავსება საროსკიპას პატრონს, რომელიც თვის სამარცხენო დაწესებულებაში დამწყვდებულ ქალთა ზნეობრივ განსპეტაკებისა და სულიერ განვითარებისათვის ზნეობრივ მეცნიერების ლექციათა საკითხვად უმაღლესად განათლებულ პროფესიონებს მოიწვევს.

ერთი სიტყვით რომ გადავჭრათ, მთელი ეს ფარისევლური ლათაიები იმიტომ წარმოთქვა გრაფმა ვიტემ სახელმწიფო საბჭოში, რათა არაყით ვაჭრობაში გამოცხადებული მთავრობის ტლანქი ანგარება ლამაზი სიტყვებით შეემოსა.

ვილაცამ სთქვა, ექიმებსა და მონადირეებს შორის ის განსხვავებაა, რომ მონადირე ჯერ მოკლავს თავისი მსხვერპლს და შერე გაატყავებსონ ექიმი კი ჯერ გაატყავებს და მერე მოკლავსონ ჩვენი წარჩინებული საერო და სასულიერო ფარისევლნი კი ყველა ამაებს ერთად სჩადიან: ატყავებენ, ჰკლავენ თავის უბაღრუკ მსხვერპლთ და ამავე დროს მათი სულის საცხონებლად საცეცხლურით საკმეველს უკმევენ და საეკკლესიო საგალობელს დამდერენ.

უ ძ ი ლ ო ლ ა მ ა .

ღამის სიჩუმით გარემოცული
სოფელი ტკბილიდ მიძინებულია;
დღით შავ-მქუხარე ზღვა ცხოვრებისა,
ვით მოხიბლული, მიღუმებულია...
არ სძინავს მხოლოდ საპრალო ზურაბს;
მხურვალე შუბლით მკლავს დაყრდნობია,
და სინიდისით მწარედ ქენჯნილი
მოსეულს ფიქრებს დამონებია.

დიდი ხანია ძილი მკურნავი
ბედ-შავის თვალებს არ ჰლირსებია;
ვითა ცის რისხვა ფიცის გამტეხსა,
მუდამ სიგხიზლე მას რგუნებია.

ღამის სიჩუმე - სხვისთვის მაღამო!
ავ საწამლავად მისთვის გამხდარა,
სხვისთვის სამოოხის მახარობელი
სიკვდილის სახით მის წინ დამდგარა.

ოდესაც ზურაბ წმინდა ოცნებას
თაყვანის ცემით გუნდრუქს უკმერდა,
იმ დროს ხორც-შესმულს თვის სასოებას
უმანკო ქალად წარმოიდგენდა.

ცის ვარსკვლავებზე ტახტი დაუდგა
თვის გულის მეფას მონამ ერთგულმა
და ამდერა ქნარი იმისთვის
ზეციურ მაღლით აღფრთოვნებულმა.

ის ეს ქალი ეხლა მის წინ დგა
ძაბით მოსილი, გაფითრებული,
და სამარის ხმით მას ხან აყვედრის,
ხან ემუქრება აღშფოთებული:

„ვეღარ მცნობ განა?! განცვიფრებულხარ!
ან კი რად გინდა, რომ სცრობდე ტანჯული!
ვიცი, სხვის ცრემლი, სხვის ვაება
დღეს არ გიღელვებს შენ ბედნიერს გულს!

გახსოვს ნეტარი დრო გაზაფხულის?
წორჩი ქაბუკი ტურფად ყვაოდი;
ახლად გაშლილი, სავსე სიცაცხლით,
უავ წვერ-ულვაშით იმოსებოდი.

ოჲ, მაშინ სჯობდი, საბრალო ზურაბ!
ცეცხლის მფრქვევს თვალებს დღეს მე ვეღარ
ვსცნობ,
გამბედაობის და აზრისა წილ

სრულს უაზრობას მათში ვკითხულობ.

გახსოვს, პირველიდ მყინვარ მთის წვერში
ფიცხელ ოცნებით დანავარდობდი,
და რომ მიხილე მთვარისა შუქზე,
მეტ ნეტარებით სიკვდილს ნატრობდი?

პირქვე დაემხე წემის ტახტის წინ,
თვალის გამართეს ვერ მიბედავდი,
და ერთგულობის შემოფიცის დროს
ცისა ვარსკვლავებს შენ იმოწმებდი.

რას მიქვიაო სხვა სასოება,
შენივის ვშობილვარ, შენთვის მოვკვდეო,
შენი სურვილის მახარობელი,
შენი რაინდი ქვეყნად გავხდეო!..

მაშინ ავდექი თვალ-ცრემლიანი,
გულში ჩაგიყარ, შუბლზე გაკოცერთვის დაჭილი
თავზე დაგადგი ვარდის გვირგვიშვილის და ეკლიანი გზა დაგილოცე.

გახსოვს, მტარვალმა დედას ბედნიერს
დობილს ძუძუზე მოკვლიჯა შვილი
და ძაღლს წაუგდო ხორცი უბიწო
ნაკვეთ-ნაკვეთად მის წინ დაჭრილი?

გახსოვს შენ ცრემლი ბედკრულ დედისა?
ცის ანგელოზი ცოდვით იწვოდნენ,
და ყოველად-შემძლეს ცოდვილ ქვეყნისა
წარლვნით წალეკას ეხვეწებოდნენ?

გახსოვს, ამ ცრემლით გულ-დათუთქვილი
ხელად რბოდი შენც, ცას შესტიროდი,
და საშინელის სისხლის საზღვევად
დღე-და-ღამ გულით ემზადებოდი?

გახსოვს ის წამი შეთქმულ-ობისა,
ამხანაგები ჯვარს რომ ემთხვიერ
და ერთგულობის, ძმობის თავდებად
ღვთისა სახელი მოიხსენიეთ?

უსამართლობას, ღალატს და შურსა
თავდავიწყებით უნდა შებმოდით;
ედემს თუ ვეღარ დაიბრუნებდით,
უნდა მამაცად მტერს შეკვდომოდით...

შენ არ სთქვი:—შერცხვეს, ვინაც უმსხვერ-
ჰლოს

საქმე საქვეყნო პიროვნულსაო,
ვინაც განცხრობას მიეცეს ტკბილსა,
როცა სულს სწვდიან დატანჯულსაო?!

დღეს შერცხვენილი შენვე გამხდარხარ
ფიცის გამტეხი, დაუნდობელი,
მკვდარი ქვეყნისათვის, შენ პიროვნების,
საკუთარ კერის მასოებელი!

მაშინ, როს მწარე ცრემლო ნაკადული
ახრჩიბს უმწეოდ ქვეყნად შთენილსა,
შენ ტკბილს ცხოვრებას ღასწაფებიხარ,
ვნებას მორჩილებ დამათრობელსა...

დღესაც ხომ ქვეყნად კვნესა გაისმის
შეურაცხყოფილ სიყვარულისა!

დღესაც ხომ ლუკმად ძაღლსა ეძლევა
უბიწო ხორცი პირმშო შეილისა!...

შენთან შეთქმულნი ამხანაგები
შენის ღალატით გულ-გატეხილან,
ისეც მცირენი მტერთან სადარად
დღეს სასაცილოდ დამცირებულან.

მშვიდობით, მხედავ უკანასკელად,
აღარ დაგიფთხობ დღეიდან ძილსა,
ნურც მომიგონებ ციურს შენს მეფას,
დღეს შეგინებულს, ნამუსახლილსა!..

ილ. პონტელი.



საგურამო. კაპლის ხე, რომელის ქვეშაც იდიას უქარდა მოსეუნება,

გ ა კ პ რ ი თ.

ვისაც ლიტერატურა—საზოგადოთ და სამუშაბლო მწერლობა—კორძოთ გასართობ საგნათ არ გაუხდია, ვინც პატარაობიდგან შეოვისებია და უგემია მწერლობის აღმზრდელი, სულის გამასპერაკებელი, გამაკეთილშობელი მნიშვნელობა, ვისაც ურწმუნია მისი დაუფასებელი ხელმძღვანელობითი როლი ხალხის თვითშეგნება-გამოფხიზების ისტორიაში და შეგუებია, გულით შეოვისებია.— იმან არ შეიძლება როდისმე დაივიწყოს ის მძიმე ტვირთი და დიდი როლი, რომელიც წილიდა ხვდათ ჩვენს მესამოცენტრებიან მწერლებს საზოგადოთ და კერძოთ ნიჭით ივეთ ბუმბერაზე, როგორც იყო ილია ჭავჭავაძე.

რომ უფრო აშკარად, უფრო ცოცხლად წარმოვიდგინოთ და დავათასოთ მნიშვნელობა მესამოცე წლების მწერლებისა, უნდა გავითვალისწინოთ და შევადაროთ ჩვენი დრო, როცა, ასრე თუ ისრე, შეგიძლიათ თავისუფლად, მოურიდებლად დასწეროთ და თავისი სახელი უწოდოთ ბიწიერ ქცევა-მოქმედებას, ხალხის დამბეჩავებელ-გამყვლეფელთ და ყოველთვის შეგიძლიათ დარწმუნებულიც იყოთ, რომ ათასობითაც გამოჩენდებიან თა-

ნამოაზრენი და თანამერძნობნი და ის ხანა, როცა ჩვენ მესამოციან წლების მოღვაწეთ მოუხდათ სამწერლო ასარეზედ გამოსვლა. ეს ის დრო იყო, როცა ბევრს ღვთის წყალობა, ღვთის რისხვად ეჩვენებოდა, როცა ყველა მუქთა-ხორა და ხალხის უმრავლესობის ინტერესების ურცხვად ფეხით მთელელთა საწინააღმდეგოთ ერთი სიტყვის დაქრაც კი სახითათო იყო; ყველა, ცოტათ თუ ბევრად მომზადებული საზოგადოების წევრი, ჩინ-მენდლებით იყო გატაცებული, უსირცხვოდ ვაჭრობდა თავის ნიჭით, სინიდისით და „კვეყანა და ქვეყნის საქმე კი ფეხებზედ ეკიდა“; თვით საზოგადოება საღათას ძილით იყო შეპყრობილი და „არსათ ხმა, არსად ძალი არ მოისმოდა“...

ჩემ წერილის მიზანს არ შეაღენს ჯეროვანი სურათი გაუთვალისწინო მკითხველს იმ გაბედულ და თავგანწირულ გამოსვლისა, იმ ღვაწლისა, რაიც იკისრა, ჩვენი ლიტერატურულ ენის შექმნაში უმთავრესმა პიონერმა, ილიამ; მე მხოლოდ მინდონა მომეუვანა როგორც იმ დროის, ეგრეთვე თვით ილიას დამახასიათებელი, ილიასივე ლექსი, რომელი ლექსიც დაბეჭდილი არსად შემხვედრია და რაიც სხვა აღკრძალულ ნაწერთან

ერთად ხელონაწერათ გადადიოდა ერთ მოსწავლე
თაობიდებან მეორემდი.

რამდონათაც ვიცით, ილია მესამოცე წლებ-
ში, რუსეთიდებან რომ დაბრუნდა, სამშობლოში
ვინც კი დახვდა მაშინდელ დროის ეგრეთ წოდე-
ბულნი იგეთი მოღვაწენი, რომელთა მოქმედება-
საც ეტყობოდა ორჭოფობა, არა გულწრფელობა
და მლიქვნელობა,— ილიამ ყველას უძლვნა მათი
დამახასიათებელი სარკაზმული ლექსები, „გამოცა-
ნების“ სათაურით. ერთი ამ გვარი „გამოცანა“
უძლვნა ჩვენ მწერლობაში კარგათ ცნობილს (ლე-
ნერალს) გრ. ობელიანს, — სახელდობრ შემდეგი:

„მოხუცია იგი, ჯმუხი,
პირათ ბადრი, ტანდაბალი,
საქმით წმინდა, გულ-მხურვალი,
სიტყვა ტკბილი, ჭკვა მაღალი.
ძევლთაგანა ეგლა დაგვრჩა:
გრძნობით სავსე, გონიერი,
მაგრამ ქალაჩუნა არი,
თუმცა უყვარს თავის ერთი.
ის ძევლის და ახლის შუა
შემაერთავი ხიდია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდია“!..

ესრეთი „უქები“ ლექსი ილიასი იწყინა ორ-
ბელიანშა, რომელმაც ლექსითვე უპასუხა და გა-
კიცხა ილია და იმისი ამხანაგები და აი ამ პასუ-
ხის პასუხათ ილიამ ობელიანს მიმართა შემდეგი
ლექსით:

ჩვენ უჩინონი, ჩვენ უჩინონი,
თქვენ ჩინიანებს ბუზათ გგონიგართ,
იქიდან ვკავით, სად თქვენის მაღლით
ხაფანგის ქვეშე დამწყვდეული ვართ...
ჩვენ ვლეთ რუსეთი, მაგრამ არც ერთი
ხელობა თქვენი არ ვაისწავლია,
ლიბერალობა, პატრიოტობა—
სალანდავ სიტყვად არ შეგვიქმნია.
თქვენგან ჩაგრული, დაბრმავებული
ერი ჯვრებზედა არ ვაიყიდია;
ქვეყნისა ბედი—დახსნის იმედი
თქვენებრ ხელში მჩვრად არ გახვიხდია.
კაცის მხნეობა, კაცის ზნეობა
თქვენებრ გინებით არ გვიზომია.
სარწმუნოება და სათნოება
ფარისევლურათ არ შეგვიქმნია.
როს მოველით ჩვენ, მსწრაფლ გიცანით თქვენ,
შორს დავიჭირეთ თქვენი ანბანი.
რათ ჰკირობთ მასა, რომ თქვენ ანბანსა
ვერ შეაჩვიეთ ვერეინ ჩვენგანი?!

მითომ რათ გიკვირთ, რომ მაღლა ვკვირით
მილიონებზედ და სხვაზედ არა?..

ერთად თავ-მოყრით წვეთით შემდგარა.
მაშ რდათა გგმობთ, ოდეს ჩვენ ვსუფლეულობის
ერთმანეთობით მილიონაბას?! ბიჭულითია
თქვენ ნაცარ ქექნო და გულ ნამცეცნო,
აქაც ძირს უთხრით ლარიბ ერობას!
ვართ ულონონი, უგვზო-უკვლონი
მით, რომ თქვენ ჰყინიხართ უქმად ჩვენშია;
ჩვენ მოკუნტულნი, თქვენ გაბლენძილნი
ვერა ვთვისდებით ერთმანეთშია...
იმით თმამობთ, რომ ბეზღით გვწამობო
ურჯულოებას, ღვთის უარ ყოფას?
ღმერთი არმობის, ღმერთი ყალბობის
არ ურწმუნია ჩვენსა თაობას.
ღმერთი მზაკერობის და თვალმაქცობის,
ღმერთი უქმობის უარ უყვია,
ღმერთი არმობის და მცარცველობის
თქვენი მგზავრთათვის მას დაუთმია.
ხოლო გვრწამს ღმერთი, — უქმთა წამწყმელი,
ტვირთ-მძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი;
ღმერთი ტანჯულთა, ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი.
უოველთა მმობის, თანასწორობის
მოძღვრებისათვის ქვეყნად ჯვარ ცმული.
ძლიერთ დაბმელი, უძლურთ ამხსნელი,
თქვენებრ კაცთავან გმობილ-დევნილი...
ფარისეველთა, საღუვეკელთა
გამყიცხველი და გამადევნელი.
„მტრობა ერისა,— არს მტრობა ქვეყნის“...
მაგ აზრისა ვართ თანხმანი ჩვენა,
მაგრამ ერთობის, ენისა მტრობა
ბრალათ ვის დავდო: ჩვენა, თუ თქვენა?
ეხლა რომ ბლავით, თქვენ არ იყავთ
ენის პატრონი ჩვენზედ უწინა?!

ჩვენ ძუძუს ვწოვდით, როცა თქვენ გმობდით
ენას და ხალხსაც გარეთ—თუ შინა.
ის არა ხართ თქვენ, როს ღვიძლი ენა
ბრძანებლად დასდეთ აღმოსაკვეთლად?
შიშით არც სახლში და იღარც კარში
მას აღარ ხმარობთ, თქვენდა სარცხვენად!
„ენა მაღალი, მის სიღრმე-ძალი“
ჩვენგან კი არა,— თქვენგან წამხდარა:
პირველ თქვენგანშა, იმა ბედშავმა
მას მკვდრის სუდარა გადააფარა...
ენა მდიდარი, თქვენ ხელში მკვდარი,
ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად,
და ამასაც თქვენ, ცოდათ გვადებთ ჩვენ,—
რაღა პირთ დახვალთ ამა ქვეყნად?!.
თქვენგან გმობილი, თქვენგან ლტოლვილი
ენა ჩვენ ქოში ჩვენ შევათარეთ;
კარგათ თუ ავათ ჩვენ მას ვინახამთ

და მის სიკედილით არ გაგახარებთ.

„ვინა ჰყრიხართო,—ვირები ხართო“,—

მაგ თქვენ ზრდილობას ვით ეკადრება?!?

მაგრამ შოთამ სთქვა: „რაც კოკაში სდგა—

იგივე თურმე წარმოლინდება!..“

ჩვენ დროში, როცა ისე დავკნინდით და დაუხურდავდით, რომ ვინც კი, თავისი მოუმზადებლობით თავებედურად გატელული, სადაც არა მგონია შესკუპდება და დაიძახებს „აფხანიკებო“...— ქვეყნის მხენელად ჰერინით და გუნდრუქს უკევენ, —უნებლიერ ხსოვნაში სდგებიან ილიასებური აჩრდილნი, მწარე ღიმილი სახესა ღმაჭავს და შენდა უნებურადვე წამოიძახებ: „აფსუს,—რა ბედაურები ღაიხოცნენო!..“

გ. ახალციხელი.

სიმართლის აღდგენა.

(წერილი რედაქციისაური)

ახლად მოვლენილს გაზეთში „ცის ნაშში“. მოთავსებულია ჩემ ქართულ წიგნების და სახელმძღვანელოების შესახებ ცნობები, სავსე ბაგშური სიყალით და უძლური ბოროტებით. სიმართლის აღსაღენად ვთხოვ „ნიშანურის“ რედაქციას ადგილი დაუთმოს ამ ჩემს წერილს გაზეთის მახლობელს ნომერში.

გარდა ორის ჩემის ქართულის სახელმძღვანელოსი ყოველი ჩემი საკითხავი წიგნები როგორც ქართულს ენაზე დაწერილი, ისე რუსულზე მე გადავეცი რამოდენისამე წლის წინად „წერა-კითხვის საზოგადოებას“ სრულ საკუთრებად. მომდინარე წლის დამდევში მასვე დაუთმე უფლება ჰქონდოს თავის სისარგებლოდ ქართულის წერის რვეულები. ჩემ მიერ შემუშავებული ბადეთი. რომელთაც წინად მე თვითონ ვბეჭდავდი და საკამისიოდ ვაძლევდი „საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას. ვიდრე ქართულს საკითხავს წიგნაკებს მე თვითონ გამოცემდი ხოლმე, ისინი ბევრი იყიდებოდა.

მაგალითად „იაწნანამ არ ჰქმნა!“ წელიწადში გადიოდა 1200—1800 ცალი. მასუკან კი, რაც „საზოგადოების“ ხელში გადავიდა ეს წიგნები, მათმა გასავალმა ძლიერ იყო მოხდა ეს იმის გამო, რომ მე კამისით წიგნების კუთხავნიდი საქართველოს ყველა კუთხეში წიგნების საიმედო მაღაზიებსა, გამგეობა კი „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ არავის არ უგზავნის და ჰყიდის ხხოლოდ ნაღდს ფულზე. ეს გარემოება მეტად აბრკოლებს ჩემის წიგნების გავრცელებას.

ამ სახით, ჩემს საკუთრებას ამ უამად ქართულ წიგნია შორის შეადგენს მხოლოდ ორი სახელმძღვანელო: „დედა-ენა“ და „ბუნების ქარი“ „წერა-კითხვის საზოგადოება ჰქონდა მხოლოდ პირველს

წიგნსა, მეორეზე კი ხელი აიღო რამილდენსამე წლის წინად უსახსრობის გამო. უდიდესი უამად შესდგება ორი ნაწილიდან, პირველი უკავები ლი ღირს ორშაურად, მეორე—ორაბაზად ყდით. როგორც პირველს ნაწილში, ისე მეორეში „წერა-კითხვის საზოგადოება“ მახდევინებს $33\frac{1}{3}$ პროცენტსა, ანუ ღირებულების მესამედა. სწორედ იმდენსა, რამდენსაც მჯერდებოდა წინად ვართანავი და ახლაც მჯერდება რუსეთის სიმართლის ბ-ნი გრიქუროვი. უფრო ნათლად რომ ვსთქათ, გამგეობა მაძლევს „დედა-ენის“ მეორე ნაწილის თითო წიგნში დასაბეჭდად თითო აბაზის ხარჯის გადასახდელად და ჩემ პინორარად. მეც ვბეჭდავ და მზა-მზარეულს წიგნს ვაბარებ მას. თითო წიგნის დაბეჭდვა ეხლანდელ პირობებში ჯდება სამი შაური. მაშასადამე პინორარში და გამოსაცემ შრომაში მე მრჩება თითო შაური წიგნზე. გამგეობას ეხარჯება თითო ყდიანს წიგნზე ოცდა ექვსი კაპეიკი, ჰყიდის—ორ აბაზად. წიგნის მაღაზიებს უთმობს თითო ცალს, 20% დაკლებით, 32 კაპეიკად. მაშასადამე ყოველს შემთხვევაში თითო წიგნზე გამგეობა იგებს ექვს კაპეიკს ცოტა მეტს, ვიდრე მე, როგორც ავტორი და გამომცემელი. პირველს ნაწილს თუმცა ჰქვიან „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა და გამგეობა იღებს გამომცემლის $33\frac{1}{3}$ პროცენტებს, მაგრამ ნამდვილათ კი ჩემი გამოცემაა, მას ვბეჭდავ ჩემი ხარჯით და რაც გამგეობა გაპყიდის ხოლმე, მხოლოდ მაშინ მაძლევს შემოსულს ფულსა მესამედის გამოკლებით. მაგალითად, ოც და მესამე გამოცემა პირველის ნაწილისა მთლად გამოელია გასულს ოცს ნოემბრს. მე კი გამგეობისაგან მხოლოდ ნოემბრის გასულს მივიღე ნაწილი შემოსული ფულისა, ერთი წილი კი ახლაც ზედ არის, თუმცა ოცდა მეოთხე გამოცემას, ჩემი ხარჯით დაბეჭდილს უკვე ჰყიდის გამგეობა. პირველ ნაწილში გრჩება მე, როგორც ავტორი და გამომცემელი, იმის ნახევარი, რასაც მეორე ნაწილში მაძლევს. მეც დაპრინტირდა, რომ ერთი ზედმეტი ხარჯი არ უნდებოდეს ამ ნაწილსა. საქმე ის არის, რომ ქართულს სტამბებს სრულიად არა ჰქონდათ შესაუერი მსხვილი შრიფტი ანბანისთვის. მე ეს შრიფტი შევიმუშავე და წინადადება მივეცი სტამბებს: ჩამოსხენებინათ ეს შრიფტი და ებეჭდათ მითი ყოველი ქართული ანბანი და მათ შორის „დედა-ენის“ ანბანიცა. უარი მითხრეს: ბლობად ხარჯს მიითხოვს და შემოსავალს კი ცოტას მოგვცემსო. იძიულებული გავხდი პირადად ვენაში შემეცვეთნა ყალიბები ანუ მატრაცები ჩემის ახალის შრიფტის, და ეს შრიფტი მეკეთებინებინა თბილიში ჩემი საკუთარი ხარჯით. აი ეხლაც „იღეალის“ სტამბამ გამომიცხადა: ოქვენი შრიფტი დაძველდა, გაცვდა

და ახალი შრიფტის ჩამოსხმის თავდარიგს შეუდექითო. ახალი შრიფტი კი ახალს ხარჯს ითხოვს.

რამდენად მცირეა თვით ფასი „დედა-ენისა“ საზოგადოდ, ამას ცხად ჰყოფს შედარება. უშინასკის „Родное слово“ ორივე ნაწილი ბევრად ნაკლები „დედა-ენის“ ორივე ნაწილზე ფურცელთა რაოდენობით, ფორმატით, აგრეთვე სურათების რიცხვით, ქარტით. წინად იგი უფრო ძვირად იყიდებოდა; ბოლოს წლებში სტერეოტიპულ გამოცემად გიღააქციეს, რადგანაც ავტორი მკვდარია და არაფრის ცვლილებას ვეღარ მოახდენს წიგნში. სტერეოტიპი მეტად ააღვილებს წიგნის ბეჭდვას და აიაფებს. ამის გამო როდინის საზოგადოების ფასი დაკლებს. მაგრამ ეს გაეფეხული გამოცემაც ბევრად ძვირია „დედა-ენაზე“, უყდოთ ორივე როდინის ლირს სამ აბაზად, დედა-ენის ლირივე ნაწილი უყდოდვე ლირის ორ-აბაზად. როდინის საზებობის ლირიც და ათი წელიწადი და მილიონობით მოიფინა რუსეთში, „დედა-ენა“ კი ასებობს ოც და ათი წელიწადი და მხოლოდ ეხლა გადავიდა ოთხას ათასში. უშინასკი იყო შემძლებელი მემაშულე და დირექტორის პენისაც იღებდა. მე არც მამული მაქსი, არც პენისა და მთლად კალმის წვერის ამარად ვარ დარჩენილი.

გოგება შვილი წელიწადში ხუთას თუმანს იღებს ჰონორარიადამ, ამბობს „ცის ნამი“. ფანტაზია ამაზე შორს ვეღარ წავა. აიღეთ უკანასკნელი წლის ანგარიში „წერა-კითხვის საზოგადოებისა“, რომელიც საფუძვლად დადებია გაზეოს მსჯელობასა, და თქვენ დარწმუნდებით, რომ „დედა-ენას“ ჩემთვის მოუცია მეოთხეზე ნაკლები ხსენებულის ფულისა, პირველი ნაწილი გაყიდულა წლის განმავლობაში 17,663 ცალი. ანგარიშის გასაადვილებლად ეს რიცხვი გადავაქციოთ მრგვალი 18,000. გავამრავლოთ ეს რიცხვი $2\frac{1}{2}$ და მივიღებთ 450 მანეთსა ჩემ სასარგებლობა. მეორე ნაწილი „დედა-ენისა“ იმავე ანგარიშის მიხედვით გაყიდულა საანგარიშო წლის განმავლობაში 14,321 ცალი. ვიანგარიშოთ თითო წიგნზე ჩემ სასარგებლოთ ერთი შაური და გამოვა 716 მანეთი. მაშასადამე „დედა-ენის“ ორივე ნაწილს ჩემთვის მოუცია 1200 მანეთზენაკლები...

გადავიდეთ ახლა „ბუნების კარზე“, რომელიც ჩემს საკუთარს გამოცემას შეადგენს ეს რამდენიმე წელიწადია. ეხლანდელს მდგომარეობაში ეს წიგნი არაფრით აჯილდოებს არც წინანდელს შრომას ავტორისას, არც ახლანდელს. იგი იპყრობს 472 გვერდსა, ლირს კი ყდიანად სამ აბაზად. რადგანაც ბეჭდვა წიგნებისა ბოლოს ხანს ერთოორად გადევიდა, გაძირდა ავტორვე ქაღალდი და დაკაზმა, ამის გამო თითო წიგნის ბამოცემა ჯდება ორ აბაზათ. სამი შაური წიგნზე ეძლევა საკამისიოდ გამგეობას,

და რჩება ჩემ სასარგებლოდ წიგნიდან ერთი შაური, რაც ძლიერ შეადგენს კინოიქტის წიგნის გამოცებაზე დახარჯულის ჩაშეისახავ ჩემთვის შრომა, როგორც ავტორისა, წიგნის განვითარებისა და გამომცემლისა უსასყიდლოდ რჩება ჯერჯერობით.

მეუბნებიან: „დედა-ენა“ ოცჯერ მეტად გამოცემი, იქმარე ეს ავტორის შრომის დასაჯილდოებლად და ახლა სრულ საკუთრებად გადაეცი საზოგადოებას, როგორც სხვა წიგნები გადაეციო. წორედ ბავშური მოთხოვნილებაა. ევროპასა და რუსეთში ყოველი ავტორის ნაშრომი მისი სიკვდილის შემდეგ რჩება მისი მემკვიდრეების საკუთრებად ორმოც და ათის წლის განმავლობაში. თვით სოციალ-დემოკრატი ავტორები ამ უფლებას სასტიკად იცავენ. ჩემგან კი სიცოცხლის დროსვე თხოულობენ—ხელი აიღე უკანასკნელს სალიტერატურო საკუთრებაზეო. ეს მოთხოვნილება იმ შემთხვევაშიც საოცარი იქნებოდა, „დედა-ენა“ რომ აუცილებლად იბეჭდებოდეს თავისი შედეგნის დასაწყისიდგანა, მაგრამ ეს ასე არ არის. იეგოვამ რომ ქვეყანა შექმნა, საესებით განისვენა. მე კი ვერ განვისვენებ, რადგანაც ქმნილების აქტი წინადაც გრძელდებოდა და ახლაც გრძელდება ჩემი სახელმძღვანელოების შესახებ. აიღოთ, მაგალითად, უკანასკნელი ორი გამოცემა „დედა-ენისა“ და „ბუნების კარისა“, შეადარეთ იგინი წინანდულს გამოცემებსა და თქვენ დღესავით ცხადად დარწმუნდებით, რომ ორივე სახელმძღვანელო ნახევრობით მაინც ახლად არის შედეგნილი. ასე, რომ მე ჰონორარს ვიღებ არა წინანდელს შრომაში, არამედ ახლანდელში, როგორც ავტორი და გამომცემელი.

რამდენად შრომას და მზრუნველობას ითხოვს ჩემგან ჩემი სახელმძღვანელოების განახლება და გამოცემა, აშკარად სჩანს იქიდგან, რომ ავტორ სამი წელიწადი იქნება, რაც ფეხი ვერ გამიდგამს თფილისიდგან თვით პაპანაქება ზაფხულში, თუმცა ჩემი დაზიანებული სიმრთელისათვის უკიდურესს საჭიროებას შეადგენს წმინდა სააგარაკო პაერი.

ქართველ საზოგადოებაში ხურიად გაიგონებთ: გოგება შვილი ერთად ერთი ქართველია, რომელიც კარგად ცხოვრობს ლიტერატურული შრომითო. ეს მსჯელობა, შურის დამბადებელი, სრულიად მოკლებულია სიმართლესა. ორმოც წელიწადი მეტია, რაც მე მონაწილეობას ვიღებ ლიტერატურაში და თითომის არც ერთხელ არ ამიღია სალიტერატურო ჰონორარი არც ქართულს სტატიებში და არც რუსულში. ქართულში არ ვიღებდი ჯილდოს იქ განზრახვეთ, რომ ლუქმა პურში არ შევცილებოდი იმ ქართველს მწერლებს, რომელთაც სალიტერატურო შრომის გარეშე არავითარი სახ-

სარი არ აბადიათ. რაც შეეხება რუსულს სტატი-
ებს ყველა მათგანი გამოსარჩლება აყო ჩვენი ჩა-
გრული ერისა და ამისთანა სტატიებს კი რუსული
გაზეთების რედაქციები მხოლოდ მაშინ ბეჭდავენ,
როცა ჯილდოს არა სიხოვთ... მე ვცხოვრობდი და
ვცხოვრობ მარტო სპეციალური ჰედაგოგიური შრო-
მით. ამ გვარი შრომით სხვაგან ჰედაგოგებს დიდი
სიმღიდრე შეუძენიათ. უშინესის სახლობა, მაგალი-
თად, ქონებით ჩაიქცა, მარტინოვსკის ქვრივმა მოკ-
ლე ხნის განმველობაში მეფური სასახლე წამოჭიმა
შიგ შუაგულს თფილისში. მე კი ორმოცის წლის
ჰედაგოგიურის მოღვაწეობით არამც თუ სიმღიდრე
ვერ შევიძინე, თუმცა მატივად ვცხოვრობდი, არა-
მედ იძენი თანხა ვერ გადავდე სიბერისათვის, რომ
მის სარგებელს უზრუნველ ეყო ჩემთვის სრული
ჰენსია დაბალის სკოლის მასწავლებლის; და ეს მა-
შინ, როცა ოცი და ოცდა ხუთის წლის სახელმ-
წიფო სამსახურისათვის ჩემმა ნამოწაფრებმა ას-თუ-
მინიანი ჰენსიებით უზრუნველ ჰყვეს თავისი ცხოვ-
რება. მოხდა ეს ჩემს თავზე იმის გამო, რომ ჩვენი
საზოგადო გაჭირებანი ურიცხვია და დაუინებით
თხოულობენ ყველასაგან დახმარებასა და შველასა...
თუ ჩემ შემდეგ რაიმე ქონება დარჩება, იგიც მო-
ხმარდება ამ საზოგადო საჭიროებათა დაკმაყოფი-
ლებას, უმთავრესად კი განათლებას გლეხების, მუ-

შების და სახალხო მასწავლებლების შვილებისას,
რათა გაძლიერებულ იქმნას დემოკრატიული ელე-
მენტი ქართველის ინტელიგენციისა. უკანასწყლებული
ტილია და დაკარინებული რამდენისამც წლის წილი.

ამისთანა გარემოებაში არ მგონია ვინმე კუუ-
თა მუოფელმა მოიწონოს „ცის ნამის“ მოთხოვნი-
ლება: ხელი აიღე უკანასკნელს ლიტერატურულს
საკუთრებაზე და იცხოვრე .. ჰაერიით....

ოც და ათის წლის წინად თითქმის დამსახუ-
რებული მოზრდილი ჰენსია შავრაზმელებმა ხელი-
დან გამომტაცეს, ჰენსიის ნაცვლად ხელში მომაჩე-
ჩეს, ისიც ავადმყოფობის დროს, მგლის ბილეთი
ესრედ წოდებულის მესამე მუხლის ძალით და გამ-
რიცეს საესებით იმ იმედით, ეგება სული მთლიად
ამოხდესო. ახლა სხვა ფერის ვაჟბატონები იმავე
გარიყვან მემუქრებიან, რაშიაც იგივე შავრაზმელე-
ბი მხურვალე დახმარებას გაუწევენ დიდი სიამოვ-
ნებით. ჩინებული კავშირია, საუცხოო ერთობაა.
მაგრამ როგორც მაშინ სრულიად გაცრუვდა იმედი
გარიყვისა, ისე ახლაც გაცრუვდება, იმედია.

იაკობ გოგებაშვილი.



შესანიშნავი სურათები.



ერთ ბედს ქვეშა ვართ, ცუცქავ, მე და შენ,
წილათ გვარგუნეს მწარე ხვედრი ჩვენ!..

ამურები ისვენებენ, მიუნეს სურათი.

შესანიშნავი სურათები.



მოზრდილი ბავშები, ბრესლაუს ნახატი.

ბედნიერი ცოლქმრობა.



მამა. (თავისთვის) დაღახუროს უშავმა, როცა შვილი არ მეგვდე— მენიცებდოდა, ეხლა მეავს და— მეჯავრება.

დედა. რატომ არ დაბრუნა შენს ბიჭიძას?

მამა. (თავისთვის) აღახმა უწეს ჩემია ბიჭიძა, თუ სხვა ვინგე „ბიჭიძასი“... არც ერთს მამს არ შეუძლია დაბეჭითებით სოჭვას, რომ იგი თავის შვილის ჩამდებილი მამა!...

ი გ ა ს ე ვ ე ტ რ ი ...

ვისაც ულვივის გულში გრძნობანი—
აღამიანის სიყვარულია,
იმასა ვეტრფი, ვეთაყვანები,
იმასთან ყოფნა მუდამ მწყურია.

ვისაც ჩაგრულთა კენესა გულს ესმის.
ვინც წმინდა გზასა არ აცდენია,
იმასა ვეტრფი, ვეთაყვანები,
იმასთან ყოფნა მუდამ მწყურია.

ვისაც სინდისი, პატიოსნება
შიშით ან ფულით არ უყიდია,
იმასა ვეტრფი, ვეთაყვანები
იმასთან ყოფნა მუდამ მწყურია.

ვისაც სამშობლოს სიყვარულისთვის
თვისი სიცოცხლე შეუწირია,
იმასა ვეტრფი, ვეთაყვანები,
იმასთან ყოფნა მუდამ მწყურია.

მუშა პრ. გუჯაბიძე.

შევაცი და გვლა.

(არაკი)

უვავი ხეზედ შემჯდარიყო და უწირეს მოწყობა
ნაკერი უველი ეჭირა,— ჭამას აპირებდა.

მიუუნიულდა მშიერი მელა. უქო სილამაზე
და ბოლოს უთხრა: „თუ თვალადობის შესაფერი
ხმაცა გაქვს, ოლონდაც სირინოზი ყოფილხარი“.

ეგონა, ეს არს დაიჩივლებსო, უველი გავარ-
დება და ავწანიო.

მაგრამ უვაემა დაიღო წინ უველი და სანამ
მელა ქებას ასხამდა, ჰკურტინდა. რომ გაათავა,
ნისკარტი მოიწმინდა და მაძლარმა მშიერს ჩასხავა:

— ძალიან მეამა შენი ქება, მაგრამ ტყუილად
გასჯილხარ, ჩემო მელიავ. ის არაკი რომ გაგიგო-
ნია, ვითომც მელამ უვავს პირფერობით უველი
დასტუაო, ის ჩვენზე კი-არა, კაცებზეა ნათქვამი.

შვილო, შენს ქებას თუ გინდა უური დაუგ-
დე, მაგრამ პირს ნუ დააღებ.

რიშ ბაბა.

აფონომია მესამე! „დუმაში“



სე ქუნდა და ჭექდა დემაში „ჭეჭარი რუსთა“
ბეჭადი შოლოხეთის ავტონომისტების წინადმდება
შეს ტებილის დადინათ პანს ადლევდა სკართველოს
დეპუტატი „ერთად ერთი მძღვანი სოციალისტური“
პარტიის დემაგოგი... მახდას!

მსდევი და ბუდეისტი.

(მსჯელობა ავტონომიაზე).

ერთხელ ჩვენებურ ესდეკა
და ებრაელს, ბუნდის წევრსა
კამათი რამე შეუდგათ,
და ერთმანეთს ორივ ბევრსა
აძაგებენ, აგინებდენ...
— ქეციანო ურიაო! —

უთხრა ესდექმა ბუნდისტსა...
— ეს რა გამოურიაო!?
გაუკვირდა ერთობ ბუნდისტს...
„— გეეადრება, ამხანავო,
„გიამება ახლა, მე რომ,
„როგორც ქართველი, გაძაგო?!.“
— „ მერე მე რა... რამდენიც გსურს,
„გაკიცხე, ლანდლე ქართველი!..
„იქნება, ფიქრობ, რომ ამით
„აღარ დამადგეს საშველი!
„ჯერ ერთი, რომ ეროვნება
„მე მიმაჩნია ჩირათა,
„სამშობლო კერა, მამული—
„სისულელეთ და ჭირათა“...
— „ კაცო!.. ერიპა, კარგია,
„მითხარ, რა ხარ, თუ გწამს ხატი?.“
— „ გინდა გაიგო, გინცა ვარ? —
„ვარ სოციალ-დემოკრატი!“
— „ამხანავო! რაებს როტავ,
„ეგ სადაური ერია?!.
„არიქა! ვინ ხარ პატრონი,—
„ეს კაცი გადამერია!..
— „ მოიცა, ტყვილა, ნუ. ყვირი,
„რას გეტყვი, მიგდე ყურია...
„ვინცა ვარ, ახლავ გაიგებ,
„რაკი შეტყუბა გწყურია...
„არც ერთ ერს მე არ ვეკუთვნი,
„მაგრამ ვარ: რუსიც, ფრანგიცა,
„ინგლისელი და ნემეცი,
„იტალიელი, ზანგიცა,
„ესპანიელი, ჩინელი...
— „დადეგ! აღარ სთქვა ურია!
„შენებრ ცხრა-რჯულა ჩემ ერში
„ლმერთმაც ნუ გამოურია!!

თომა პუსა.

ჩაზრულება.

დროი ჩაგრულნო, გაიღიძეთ,
გეყოფათ ძილი;
დამტკრიეთ მონობისა
რკინის ბორკილი!
ხმა ისმის ბრძოლის,
თქვენ კი გძინავთ დაღუმებულნი,
ფიქრს მისუმიხართ
დაჩაგრულნო, მონად ქცეულნი.
დროშა ფრიალებს,
ყველა იბრძის გაცხარებულად,
თქვენ კი ჩაგრულნო,
უმოძრაოდ გაჩერებულხა!..
აღზდეგით მალე, გაიღიძეთ;
რა დროს ძილია.
გაისარჯენით,
თორებ გელით დასასრულია!..

კოჭია ენოხისელი.

შეჯუდის გულისათვის

ფირუზი. — ეს სოციალ-დემოკრატი მარტინ შენდენი ავტონომია არ გვირდაო, ახლა კი მოუნდათ?

დარჩო. — მაშ, ვა... კაცს თუ დუქანში სრული შეშუდი არა აქვს, კონკურენციას როგორ გაუძლოს?

როგორი სჯობა?

ნინიკა. — საწყალი წერა-კითხვის საზოგადოება! რაღაც ათას შვიდასი თუმანი მოუგროვებია და მაგით საქართველოს განათლება უნდა მოჰყონოს.

ივანიკა. — მაშ რა გინდა, ერთი მილიონის შემოსავალი ჰქონდეს და პოლონეთის მატიცის ბელი?

ნ ა წ ყ ვ ე ტ ი

(გიბაძვა)

ლმერთო მაღალო, ზოგნი უვიცნი არ გაფასებენ. შენ წყევლა — კრულვას ნუ მოაკლებ გულმრუდე ხალხსა!..

შენს ძლიერებას, შენს სათნოებას, არად აგდებენ, და შეურაცხვენ შენს მოძღვრებას, შენს წმინდა სახლსა!..

გრი — გრი.

ს უ რ ვ ი ლ ი.

მსურს ვეძიო მარადის
გზა საერთო ახალი
რომ ყველასთვინ ამ ქვეყნად
იყოს სწორ სამართლი.

მსურს ვიბრძოლო, აღმოვფხვრა
შერი და ბოროტება,
რომ მის ნაცვლად გამეფდეს
კეთილი — სათნოება.

მსურს ვწველოდე დაჩაგრულს,
უსავართლოთ დასჯილსა,
ვისაც არა უგრძენია
გარდა შრომა — ტანჯვისა.

მსურს და რაც მსურს, იმისთვის
ბრძოლა ლხენა — შევბაა
და სიკვდილიც მოძმისთვის,
ვფიცავ, ნეტარებაა!..

გ. ლადოშვილი.

8 1 8 2 0 2 1 6 5.

ქუთაისში დადის ერთი ვინმე გმირია
ტყავი აქვა დათვისა შიგნით, თურმე ვირია.
ვანც ვერ გამოიცნობს, მან მოგვჭამოს კირია
ზაბუსტა—ქიანი.

მაიც ვერ იხილება!

— რა ამბები ხდება! სახელმწიფო დუმას კანონმდებლობისათვის თავი დაუნებებია და მკურნალობისათვის მიუყვია ხელი.

— რომელ მკურნალობისათვის?

— რუსი მუჟიკი ლოთობისაგან უნდა მოარჩინოს.


— მაგაშიაც ხეირს ვერა ნახავს.

— რატომ?

— იმიტომ რომ ლოთისათვის პირველი მოსისხლე მტერი მისი მკურნალია.

— გვინია, ვერ გადააჩვევს ლოთობას?

— კიდევ რომ გადააჩვიოს, გაულახავი შაინც ვერ გადურჩება.



მეორე კლუბს.

ერთი იყო ქუთაისში, ახლა გახსნეს ორი კლუბი; ვითომ ერთი არ კმაროდა?! Неужели ვсё такъ | глупы?!

— „იმ ძველს კლუბში მეტ-ნაწილათ წვრილ ფეხო— | ბა დადიანი!—

იუცხოვეს მათთან გავლა—რაღაცეებს ჩადიანო!... გასართობათ ერთი კმარა, თუ გსურთ გითხრათ | დასტურია,

და გართობის, ცეკვის მეტი აღარაფერი გვწყურია... ხოლო თუ კი უკადრისობთ, და გაურჩით მცირებს | ამ დროს,—

ისეთი რა ჩაიდინებს, თქვენ, დადებსაც არ გვა— | დროს!

თომა პუსა.

ს ც ე ნ ა ს ა რ ვ ა ს ლ ა ზ ი.

პრიკაშჩიკი. (ახლაგაზრდა კომშია ქალა) რა ვნებათ „მადამ“?! მობძანდით—„რასპრიადაუა“ ჩენე კენაა, ყოველისფერი გვეშვება: მაუდი, პალატნო, დრაფი, სუკნო, სიტიცი, კანავა, პროშივკა, ვიშივკა, პადვიასკი, ჩულკი, ნაკი, არშიები, პუგვიცები, ლენტები, დუგმები, ახალი „ტავარი“ მივიღეთ ახალ-წლისთვის სულ „დეკადენსკი“ მო-

დისა გახლავთ .. ფასი „ბეჭ-ზაპრისა“ იაფალ და პირიანთ.

ქალი. ლენტი ხომ არა გაქოზი იმპლიკოფერი—პრიკაშჩიკი.—როგორ არა, რა ფერი გნებავთ?

ქალი. — ფერი... მეონი... (იგონებს) დასწყევ-ლოს ღმერთმა, რამ ღამავიწყა.

პრიკაშჩიკი. ყველა ფერისა მოგვეპოვება: თეთრი, წითელი, ყვითელი, შავი, ლურჯი, მწვენე, ცის-ფერი, ყავის-ფერი, ალის-ფერი, რომელი ფერიც გნებათ მოგარომევთ...

ქალი. არა, არა, არც თეთრი, არც წითელი, არც ყვითელი, არც შავი, არც ლურჯი, არც მწვანე, არც ერთი და არც მეორე...

პრიკაშჩიკი. მაშ თუ უკაცრავათ არ გახლდეთ „მადამ“ იმ ღროს მობძანდით, რომ არც არ-შაბათი იყოს, არც სამშაბათი, არც ოთხშაბათი, არც ხუთშაბათი, არც პარასკევი, არც შაბათი, და კვირის ხომ დაკეტილი გვაქვ ქარვასლა. (ქალი დარცხუებიდან წავა—დანარჩენი შრიქაშიგები „ჭობ“—„ჭობს“ მიაძიხებენ).

გრი—ი.

პროცენტი.

ქუთაისის რამე-რუმე.

ქუთაისის ადმინისტრაციას ცირკულიარული ბრძანება გაუცია, რომ ყოველმა აღვილობრივმა სახელმწიფო თუ საზოგადო დაწესებულებამ იდვოს და ჭირისუფლება გაუწიოს ქუთაისში მოკლულის პოლიციისა და სამხედრო წოდების ყოველ მოხელეს. დასაფლავებას, რაც უნდა ცუდი ტაროსი იქნეს, უსათუოდ ყველანი უნდა დაეჭრონ; სახლიდან მოკლულის კუბო უნდა გამოასვენონ: გუბერნიის მმართველმა, თავად-აზნაურთ გუბერნიის წინამდოლმა, ქალაქის მოურავმა და სხვა საპატიო პირებმა; შემდეგ კი კუბო მხრით უნდა წიიღოს საფლავების დამსწრე საზოგადოებამ; კუბო უსათუოდ უნდა შემქობილ იქმნეს გვირგვინებით; პროცესიის დროს სამხედრო მუსიკამ უნდა დაუკრას და სამხედრო ხორმაც იგალობოს სარევოლიუციით „Вы жертвою пали“ და სხ.; გზადე-გზა, სადაც პროცესია გაივლის, მოკლულის პატივსაცემად მაღაზიები უნდა დაიკეტოს... ამასწინად რეპეტიცია იყო გამართული და ჩინებული ჩაიარა: ადმინისტრაციის ზემოხსენებული პროგრამა ზედმიწევნით იყო შესრულებული. როგორც გავიგეთ, ამ განკარგულებას დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია განსაკუთრებით პოლიციელებზე, რომელნიც თურმე მზად არიან მთავრობის ერთგუ-

ლებაში დალიონ სულნი თავისი, ოლონდ კი ასეთ დიდებულ დასაფლავებას ელირსონ.

ქუთაისის აღმინისტრაციას ძარცვა-გლეჯისა და ავაზაკობის მოსასპობად მეტად რადიკალური საშვალება გამოუგონია: ბრძანება გაუცია, რომ ქუთათურმა ექიმებმა უსათუოდ აცნობონ მას იმ პირთა ვინაობა, რომელიც შიმართავენ მათ დაშავებისდროს ხირურგიულის შემწეობის ათვის. ადმინისტრაცია დარწმუნებულია, რომ ამგვარად მიაგნებს იმ ბოროტ პირთა კვალს, რომელთაც პოლიციელები დასკრიან ქურდობა-ავაზაკობისა და ძარცვა-გლეჯის დროს. როგორც ამ მოკლე ხნის სტატისტიკა გვაჩვენებს, ექიმებს წარუდგენიათ ადმინისტრაციისათვის: 1) ოციოდე ბახუსის თაყვანის-მცემლის ვინაობა, რომელთაც დაცემის დროს თავი გაუტეხიათ, 2) ექვსი ებრაელის ვინაობა, რომელთაც ადვოკატის ქუჩაზე და ებრაელთა უბანში ჩამტკრეულ ტროტუარებში ფეხი ჩავარდნიათ და მძიმედ დახხეხილან, 3) ათი ადგილობრივ წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის მოწაფე, რომელიც სასწავლებლის წინ დაყრილ რიყის ქვეზე დაცემულან და ისე სასტიკად დაბეჭილან, რომ საწურბლედ გამხდარან; 4) ხუთი დურგალი, რომელთაც მუშაობის დროს ხელი გაუჭრიათ. 5) ასი მოწაფე, რომელიც მთვრალები გაქანებულ ეტლის კოფიდან (“კოჭლიდან”) გაღმოვარდნილან (რასაკვირველია, სხვა-და-სხვა დროს) და საკმაოდ დასისხლიანებულან და 6) სამი მასწავლებელი, რომელთათვის მოწაფებს არების დაწერისათვის იმ დენი უცემიათ, რომ ცხვირ პირიდან სულ სისხლი უდენინებიათ. როდესაც ერთ ექიმს შევეკითხე, პოლიციის მიერ რამდენის დაჭრილ ავაზაკისა და ბოროტმომქმედის ვინაობა წარუდგინეთ ადმინისტრაციას-მეთქი, ასე მიპასუხა: აბა როდის იყო, პოლიცია ავაზაკებსა და ბოროტ კაცებს სდევნიდა და სჭრიდა, რომ ასეთები ჩვენთან მოსულიყვნენ ქირურგიულის დახმარებისთვის!“

ნემსი

თელავი საქორწინო კასა ამასთანავე ვეზანით ნიშადურის რედაქციაში სამს თხოვნას. სამივე საქორწინო კასის წარმომადგენლები არიან 1) თუ ვინმე იკისრებს და ოქროს ფეხს გამიკეთებს იმას ხუთჯერ დავაქორწინებ და რაც კასიდან გადარჩენილი ფული მაქვს სულ იმას მივცემ 2) თუ ვინმე მოიპოება ისეთი, რომ პატარა ჭკვა დამითმოს იმას გამოსაცნობათ რომ ხუთმეტ თუმანში შეიძლებოდეს ოცდა ათი თუმანი მისცეს, ამისათვის ძირს საწევრო ფულს იმას მივცემ (რომელიც დამალულ მაქვს 3) თუ ისეთ ვინმე გამოჩნდეს ხელის კანკა-

მლი დამიყენოს, ხმა გამისწოროს, ჯანზე მოშევაზნოს და ოცდათოწლით გამაჯეელს შეცრმებულის კასიდან მივცემ სამ საქორწინო შესტესტის დარიგით შექმნა.

თელავი. ავტოკეფალია ავტონომია თუ ავტომობილი. ვერიქნა ჩვენი სამღვდელოება ვერ ელირსა ავტოკეფალის, ავტოვე ვერც ჩვენი ერი ავტონომიას, სამაგიეროდ ეხლა ჩვენ საზოგადოებას აღდებრო სურვილი ავტომობილით მაინც იმგზაუროს თელავიდგან თბილისამდე და იქიდგან კიდენ თელავამდე ამ უკანასკნელ სურველს კი უეჭველია მივაღწევთ, რადგანაც არც მთავრობა და არც სხვა ვინმე ხელს არ შეგვიშლის და თუ ვინიცობაა ეს უკანასკნელი საწადელი ვერ შევისრულეთ, მაშინ გულახდილად უნდა ვაღვიაროთ, რომ ჩვენ არც ავტოკეფალიისა და არც ავტონომიის ღირსნი ვყოფილვართ.

დ-ო

ქართველი მწერლები და მოღვაწენი.



ალექსანდრე ყაზიბეგი.

(† 10 დეკემბერი 1893 წ.)

ელ ე გ ი ა .

ცა მოწმენდილა... ვარსკვლავთა შუქი ბარ-მიდამოებს ზედ ეფინება;

კვნესით მოღლილსა, დაუძლურებულს სოფელსა სთვლემავს და ეძინება.

ძილსა აპირობს, რომ ძილით მაინც გადაიიწყოს ტანჯვა—წვალება:

მტანჯველებისა ლხენა, განცხრომა, თვის მოშხამული ბედი, ცხოვრება.

მაგრამ ოპ, აგერ კვლავ კვნესა, ოხვრა... აქ შიმშილისგან მუშაკი კვდება,


თუმც ის ყველაზე მეტს მუშაობდა და არა ჰქონდა წუთს მოსვენება

აგერ იქ მუშა საპყრობილები,

სიმართლის თქმისთვის მუნ იმყოფება,
წმინდა ცხოვრების მაძიებელი
მძიე ხუნდების ქვეშ იცრემლება.
აგერა... მაგრამ ოკ, რაღა მეთქმის,
ენა მებრის და არ მმორჩილდება...
აქ ეს სუვერეს... ერთი მითხარი,
ცალ უსაზღვრო, მანდ რაღა ჰქვება?!

ი. მჭედლიშვილი.

შესანიშნავი ქანდაკებანი.



სამართლი (იუსტიცია)

აუსტრიის შარლამენტში დამართედი.

„პოლიტიკაჩიქანის“ გოდება

(მიზანება).

ვინც უნდა იყო ჩემი მძებნელი,
გინდ მაღნის მუშა, გინდ ჩამოანდარი;
პოლიტიკაჩიქანი გებრალებოდეს,
იმათ თვინ დადგა წელს აფი დარი!

დავხეტიალობთ კანტორებშია,
დაგვდევ' მოვალე თვალცრემლიანი; უკროვნული
ვინდა გვაფასებს ჩემი ძამიავ,
რომ ჩვენც ვიყავით „ადამიანი“
ერთ დროს ვიყავით მწარმოებელნი
გდოდარი, პრეზენტ, მხედ და ჭკვიანი;
მაგრამ „კრიზისმ“ წელში“ გაგვტება,
კარს მოგვაყენა ყველას ზიანი!

დიახ, ჩვენც გახლდით წინეთ ვაჭარი
და „ფრანციაში“ ვიყავთ სვიანი;
გაძლებსა—თქვენცა მშეერ-წყურვალნო,
გვახსოვდით როგორც ადამიანი!

მაგრამ რა ვუყოთ—ფასი დავარდა,
მოგვიკდა გული, ვართ სევლიანი;
„ფრანციის“ ნაცვლათ ბედმა გვარგუნა
ჩვენ მიკიტანი დევდარიანი.

და, იცვალოს გარემოება,
მუშებიც გახდენ „არტელიანი“;
ბერძნებმაც შეკრან ერთობის „ლოკი“
გიკოტრდეს ყველა „სკლადებიანი“,
ჩვენ მაინც ამით გულს არ გავიტეხთ,
გვწამს, დაგვიდგება დღენი მზიანი;
სადგურიდგანაც აღარ გაგვრევენ,
გვიცნობენ, რომ ვართ დამიანი!

თითქო მგელაძე.

სცენა სცენისათვის.

(გურულის წერილი სატრფოსადმი.)

ჩემი სულის კოლოფონ ელცაბედა, პირველად
ყოვლისა გისურვებ ბოშო კარგად ყოუნას და შე-
ნს გულთან ჩავრას ლეხოურის სასო ღვთის მშო-
ბელს და სამას-სამოცდა ხუთს მიქელ-გაბრიელ
მთავარ ანგელოზს ვსიხოვ, აგია შენი კაი! ამას
მპირდებოლი, რავარც დამარხვდება ჩემი გული შე-
ნი მონატრული იქნებაო? ეხლა გამამჯარი ბოშო
კვანტი, ეხლა მიქენი ღლონტური! ამას მოველოდი
შენგან! იქნება გიწია ნიკაყის ქარებმა, მას შემ-
დეგ რაც რომ შენ გაგზორდი გულს წაგა-ძუგი
გააქვს, სული მეხუთება, სულ მთლათ დამეკარგა
ჭიმის მაღა-ჩამოვხმი და ჩამოვჭკნი, კაკალი კაცი,
ხასიათიც შემეცვალა; გეზელა მიმინისავეთ ვაპრი-
ალებ თვალებს იქნება საღმე დამეხატოს მეთქი...
უწინ რომ გამოვიდოდი პარასკეობაზე ჩემს გულს
გააათლებდა ლანჩხუთის პირბალიშა გოგოები,
ეხლა, ეხლა რავარც პორიელ ნაკბენი ისე მაგ გა-
ზიზინებული სახე, დაგძელებული ცხვირი, ჩამოპრა-
წული თვალები, სულ მთლად წამიხდა ჩემი გუში-
ნდელი ყმაწვილ კაცობა. ბოშო და აფი იყო ჩემი

იმედები, ასე მეგონა ცივ ქვაზე დამასახლებს — აღამ და ევასამებრ გამამრავლებს... და აწი რაღაა ჩემი ცხოვრება. ვიღას უნდივარ შენი მოძულებული.

თუ რომ გული საგულეს გაქვს და ჩვენ შორის ზავს კატას პირი არ დაუბანია ქათმის ფესვა საღა- მომდის მომწერე პასუხი, თვარა შენი გამოჯავრე- ბული წკეპვას მოვადენ სუფსაში და მერე ჩემი ცოდვა შენს კისერზე იყოს...

გასო ურუშაძე

სიტყვა

თქმული კ. ჩხეიძის მიერ მესამე „დუმაში“

(საკუთარი „ტელეგრაფისაგან“)

ბატონებო! შესაზარი და შემაძრწუნებელი ამბავი, არსად ნახული და არ გავონილი! თავზარ- დამსცემი მთელს რუსეთისა, თავსლაფდაშსმელი მთელის კულტურისა, ყელგამომჭრელი „ჩვენის პროლეტარისა“ ძაბა „ჩვენის დროშისა“ სუდარა ჩვენის გულისა. კუბო, საუკუნო კუბო დიადი იდეისა! შავი ლრუბელი „სოციალიზმისა“ ლახვა- რი ჩვენის გულისა და მით აღშფოთება და აღტყი- ნება ჩვენის გრძნობებისა.

ბატონებო! მომხდარა ენით უთქმეოი და ჯე- რეთ გაუგონელი საზარელი ამზავი! მე ვითხოვ სამართალს, სიმართლეს, კაცობრიობის კანონს „სოციალიზმის“ სახელით!

არ გეგონოთ მე ვლაპარაკობდე საქართველოს აოხრებაზე, არ გეგონოთ მე მხედველობაში მქონ- დეს მისი აკლება, მისი დამშევა, მიწების ჩამორ- თმევა, არაფრათ ჩაგდება! არა და არა, ეს არ ყოფილა, არ არის და არც იქნება! ყველა ეს ჭრია. მე კარგათ ვიცი რომ ყოველივე ჩემგან ჩა- მოთვლილი ხდება სარატოვში, ოდესაში, კიევში, მოსკოვში და ბევრგან სხვაგან, მხოლოდ საქართვე- ლოში კი არა! დიაბ არა!

მხოლოთ ბატონებო, იქ, იქ, საქართველოში დღეს, როგორც დეპეშამ მაცნობა, ჩამოუხერხიათ, დაუსჯიათ, დაუსჯიათ აქნობამდე გამოუგონელ და ენით გამოუთქმელის სასჯელით.

თქვენ ხომ მოექსენებათ რა არის კისერი? კისერი არის იმასთანა სხეულის ნაწილი, რომელიც უჟამავალია კუჭისა და პირს შუა და თუ კი ამ კისერში ბაზარი მოუჭირე, იგი შეიძლება კიდეც განსაცდელს გადარჩეს თუ კუჭი დაბინავებულია. აი რა ძალა იქვს კუჭს!

მაგრამ, ბატონებო, არის სხეულის იმისთანა ნაწილი, ურომლისოთაც ყოვლად შეუძლებელია საჭმელის მოძებნა და თუ საჭმელი არ მოიძებნე —

გახმა კუჭი, გაფუჭდა გვამი, მოკვდა ხორცი და აი სწორეთ ამ ფეხზე (იწევს ფეხს) მოგასცენებულ მე ენით გამოუთქმელ დრამას. ჩამოუჩერებულ ფეხზე? სადა? — საქართველოში, ვის? — ქართველებს! ვინ? შემეტეთ ებით; მე გიპასუხებთ: როცა ის ქართვე- ლი იყო მას ნესტორ კალანდაძეს ეძახდენ, ხო- ლო როცა „პარტიაში“ წინადაცეთა უყავით „ეშმა- კი“ ვუწოდეთ. დღიდ არს სახელი მისი! და აი ის ჩამოუხერხიათ ბარბაროს ქართველებს. არ გჯერათ? ნახეთ „ნიშადურის“ მეთექვნეტე ნომერი!

რათა და რისთვის? მე მეტითხებით მე! გიპასუხებთ მე, პასუხს მოგცემთ მე, გაგზუმებთ მე, დაგიმტკი- ცებთ მე. იმისთვის, ბატონებო, რომ მე და ის, ის და მე, მე და ჩემი ამხანაგები, ამხანაგები და მე... ამხანაგები ვართ! იმისთვის, ბატონებო, რომ ვი- თომც იგი, ვითომც იმას, ვითომც ნესტორ კალა- ნდაძეს „ეშმაკი“ ჩაძრომოდეს კუჭში (მამა ევლო- გი პირჯვერის იწერს, პურიშევიჩი სანთლებს ანთებს) ეს შეიძლება ასეც იყოს, ეს შეიძლება ბატონებო შეცდომაც იყოს, მაგრამ განა ამისთვის არსება, რომელიც ცოტაოდნათ მაიც აღმიანს წააგავს სახით, უნდა ჩამოვახრეთ? მერე როგორ? ფეხით! ფეხით! აი ამ ფეხით! (კიდევ ასწევს ფეხს). ამით მას მოუსცეს ყოველივე განძრახვა, ყოველივე საშ- უალება მოძრაობისათვის. მას იმ საიქოსაც კი აღარ შეუძლიან წასვლა!

მაგრამ იცოდეთ ბატონებო; რომ თუ ამ ტრი- ბუნიდამ არ გაისმა ხმა მისის განთავისუფლებისა, ჩვენ, მე, ის, მისი ამხანაგები გავანთავისუფლებთ მას, ეითარცა მიჯაჭულს ამირანს. (გეგეჭკორი ტაშს უკრავს)...

ახლა მოგიბრუნდებით თქვენ, პოლონელებო, რათ მოხდა ეს, რისთვის მოხდა ეს? გასწავლით, აგიხსნით; ისწავლეთ, გაფრთხილდით! დაიხსომეთ, რო ყველა ეს თქვენშიაც მოხდება ვინაიდგან თქვენც, როგორც ქართველები (ტუჩის ზევით აიწევს, გე- გეჭკორი იფურთხება) დიახ, ვითარცა ქართველი ითხოულობთ ავტონომია! აი, თქვენი ავტონომია! (აფურთხებს კედელს. პურიშევიჩი ტაშს უკრიცს, ბობრინსკი თვალებში კოცნის, მამა ევლოლი მი- რონს უსვამს) დიახ, ესაა სიგიურ თქვენი და იქ ვი- ლაც ქართველების (ცხვირსახოცით ენას იწმენდს) აღარ მინდა გაიმეორო, სიტყვა ავტონომია, ვი- ნაიდგან ის ჩემის პროგრამით უარყოფილია! და აი სწორეთ ამ განხეთილებამ ჩვენ მიგვიყვანა სა- დამდინაოს? — აღარა გვყავს „ეშმაკი“ — ნესტორ კალა- ნდაძე. ის ისხვერბლა, ბატონებო, დღევანდელმა რეეიმმა! რომელიც შექმნა თქვენმა ავტონომია. ბრძოლა გამწვავდა და აპა, მისი მსხვერპლი — ფე- ხით ჩამომხერებალი ამხანაგი ნესტორი!

ამიტომ, ბატონებო, მე მოვითხოვ გაუჭმებას

ფეხით სკვდილისა! აგტონმისტთა სასტიქს და-
სჯას, მათს სამართალში მიცემას.

ხოლო ამხანაგ ნეტორის გვამი უნდა მიაბა-
როს სახელმწიფო მიწას თავის ხარჯით. (გეგეტკო-
რი ქუდით ცრემლებსა სწმენდავს). ის ეს არის
დღევანდელი ჩემი სიტყვა; დე ეს იყოს მქუხარე
ხმა მთელ ქვეყნიერობაზე! (დაჯდება და გულშე-
ლონებული ჯიბიდან ამოლებულ ღომს სუნავს).

რემინგტონი.

მსდევებო, აგვისენით!!

პ-ნო რედაქტორო! ამ წერილს ბევრგან კა-
რები ჩაუკეტეს—არ გვიძებდავენ. იმედია, თქვენ
მაინც მაინც არ აყვებით სხვის ფეხის ხვას და ჩვეუ-
ლებრივის მოურიდებლობით დაბეჭდავთ, თუნდაც
მაგისათვის უ! იამოვნებაც გაკადრონ.

გაზეთ „მოზაურილან“ მოყოლებული ყველა
ესდეკური გაზეთები დღე მუდამ ამას ჩაგეჩიჩინებდენ
მუშებს, რომ არამც და არამც არ იწამოთ ავტო-
ნომია, ვინაიდგან იგი თავად-აზნაურობის მოგონი-
ლია ზა ბურუუზიულ-ფერდალურ ინტერესებს
უწევს სამსახურს. ჩვენ, მართლია, გული გვწყდე-
ბოდა ავტონომიურ უფლებათა უარის თქმაზე, მა-
გრამ მაინც,—რაკი მაგას პარტიული დისციპლინა
მოითხოვდა და ბელადები და ლიდერები, მწერლე-
ბი და პუბლიცისტები ავტონომიის მავნებლობაზე
გვიქადაგებდენ და ასე წარმოიდგინეთ სიტყა „ავ-
ტონომისტი“ ვლანძლავდით კიდეც სხვა პარტიის
ხალხს,—გულჩათხობილი ვსდეულით.

ეხლა ვლ. დარჩიაშვილის მეოხებით მთელს
პარტიის ნიღაბი ჩაეფხრიშა და „წყარომ“ საქვე-
ყნოთ აღიარა ავტონომია და მისი საჭიროება ვე-
ლანათვის და მუშა ხალხისათვისაც.

ვის დაუჯეროთ ეხლა, წინანდელებს თუ ეხლა-
ნდელებს?

რა მოსახრებით, რა პოლიტიკით ან ტაქტი-
კით გვატყუილებდენ ამდენ ხალხს და ამდენ ხანს?

რა სახელი უწოდეთ იმ გაუბარონებს, რო-
მელნიც რაღაც ჩვენთვის გაუვებარის მიზეზებით
დღებდე ავტონომის გვაძულებენ?

რისთვის და რა გვატყუილებენ ჩვენ, მუშებს?

რა სახელი უწოდოთ მათ საქციელს, ორპი-
რობა თუ ვერაგობა, ორგულობა თუ უგნურობა?

აგვისენით, ბატონებო, და, რაც შეიძლება,
დროით, თორებ მერე გვიანდა იქნება.

ათი გლეხის და ოცი-მუშის მონდომილობით
მუშა მიხაკო თბელო.

სამარადისო წიგნიან.

(რუსულიდან).

სამარადისო წიგნიან უკიდურესობა
სწერია ტანჯვა ხალხისა,
იქ სისხლიანი გვერდია
ბედკრული ჩემის ქვეყნისა.

საშინელება ამ დღეთა
არ არის დავიწყებული,
სახსენებელი ჯალათთა
ყოველთვის შეჩენებული!

მწუხარება, ოხვრა-კვნესა,
თვითეულ ჩამოთვლილია;
მონობის ჯაჭვის რგოლებიც
საოცრათ აღბეჭდილია!..

მოსხანს სისხლიან ფურცლებზე
დედის მდუღარე ცრემლები,
წმინდა, ანკარა წყაროსებრ
ლაწვთაგან მონადინები... .

და ამ ცრემლების ნიაღვარს
დასკუერის შეწუხებული
წარბ შექმუხვნილი, მკვნესარე
იესო ქრისტე ჯვარცმული.

ეგ. მ—შვილი.

შუამოკრული საუბრები.

— ხომ გაიგე რა შესანიშნავი, სამეცნიერო
და სასარგებლო წიგნები გამოდის სახალწლოდ?
— პირველად მესმის...

— ადამიანო, რომელ პლანეტზე სცხოვრობ.
განა არ გაგიგონია, რომ „ეშაკის ტალას“ გა-
ნუჩრახავს ორი დიდებული თხზულება „სიზმრის
ახსნა“ და „უცხო სიტყვათა ახსნა“ დაბეჭდოს
„აფხანაკების“ „გასამეცნიერებლად“...

* * *

— ახალი და საინტერესო ნომერი „წყარო“!
— შეგ რა ყრია საინტერესო?
— ყველაფერი და ზედ მეტი „ავტონომია“...
— თავი დამანებე, მე ფედერალისტების ორ-
განოს არ ვეთხულობ!..

* * *

— ერთი ამისენ, რას ნიშნავს „შულლერი“?
— „შულლერი“ მრავალ მნიშვნელოვანი სიტ-
ყვაა. „შულლერები“ ბეკრია ბანქოს მოთამაშეთა
შორის, ვაკრებსა და სხვა და სხვა „წრის“ ხალხში
და ეხლა თურმე მწერლობაშიაც გამრავლებულან...

— მე შენ ახსნას გახვა და შენ კი მოყ-
ლიხარ...

— ახსნა „ტფილის სვისტკის“ დევგმირს—
Speranza-ს ჰერთხე და ის აგისხისა...

— კაცო, ის რუსულიდ სწერს, მე კი ქართუ-
ლი ახსნა მინდა.

— ქართული თუ გინდა „ეჭაკის ტალახის“ ნომრები წაიკითხე და შიგ თავიდან ბოლომდე ამ სიტყვის ახ'ნაა. — ყოველ შემთხვევაში „შულლერი“ ნიშავს ყალთაბანდობას, თაღლითობას, არამზადობას.

— აგრე იტყოდი შე დალოცვილო! ესენი ხო? მუდმივი თანაშრომლები არიან „სკისტკისა“ და „ტალახისა“.

მოხალეს “რეჩი”. მა უფლისობრივი მიმომა

მაზრის უფროსის კანცელარიაში შეკრებილნი იყვნენ სოფლის მამასახლისები თავიანთი მწერლებითურთ. გამოვიდა მაზრის უფროსის თანაშემწე და საკვირველის აღტაცებით მიმართა მამასახლისების: „ოქვენ იცით, იცით რამდენი დეპუტატია სახელმწიფო ღუმაში — ა?“ ეტყობოდა ბ. მაზრის უფროსის თანაშემწეს მეტის სიამვრცებით გრძელები ერეოდა, სიტყვებს ხშირათ იმეორებდა, და სიჩქარით ჩიფეჩიფობდა. — არ ვიცით ბატონი! — „ოქვენ მწერლებო?“ — რა ვიცით ბატონი, ხუთას მდე უნდა იყოს. — „ო და, მერე, მერე! იცით... იციო რამდენი სოციალისტია მათ შორის?.. მხოლოდ ოცი... ოციოდე... ოცილა!.. მეტი არა, არა! უმეტესობა სულ ხუ... არა, მემარჯვენენი არიან!.. პირველი სხდომაზე სახალხო პიმნა გრილი გაჰქინდა, ვრიალი გაჰქინდა! აპა, აპა ხომ ხედავთ, ასე უკან შიდის სოციალისტების საქმე, აპა!..“



დროი მაფიან.

ამ ორი წლის წინათ, როდესაც ხალხს აბი-ბოქტებული ზეირთები ყოველი მათი წინმსვლელობის და კეთილდღეობის დამაბრულებელ ზღუდეების განადგურებას ლამობდა, სოფლათ მოვაწრე ებ ჩაელმა დაინახა შეიარაღებული მოხდენილი წითელ-რაზმელები და ჩვეულებრივი ებრაულის კილოთი სთქვა: „უ-უ, შენი ჭირიმე, რა ბიჭები არიან! ჩემი რჯულის მადლმა-ა, ამათ რუსი*“) რას უზა-ამს: ათი რუსი და ერთი წითელი რაზმელი-ი!“. არ ვისულა ბევრი ხანი და ხალხის აღფრთოვანებული მდგომარეობა, შეიცალა შავბეჭილი რეაქციით სოფლებს მოედვა ჯარი. ამათ დანახვაზე ებრაულმა სხვა პანზე დაიწყო გალობა: „აკი გეუბნებოდი-ით! შენ აჯობებ რუსი?.. ათი წითელი რაზმელი და ერთი რუსი-ი!..“

ოცხურის-პირელი.

*) სამეგრელო-შავა „რუსის“ ეძახიან სალდათებს და საზოგადო კველა მთავრობის შოხელეთ.


ქართული ხელოვნება.



გ. აბაშიძე.

მისა ბენეფისის გამო, 21 დეკემბერს.

პატიოსნებისა და სიმართლის სასწორზე.



„ემას ქას მართასი“ მაღდე სდგის „ნაშადურზე“... გისართდეს ბაქაეთთ!

რედ.-გამომცემელი ვალერიან გუნია.

ამ ნომერთან ერთად ეგზავნება ხელისმომწერთ

ნეიშელერის რეზინის გალომების განცხადება.

ვთხოვთ მკითხველთ მოსთხოვონ გაზეთის გამ-ყიდველებს განცხადებაც.